პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 251 (5021)

1973 წ.
19 დეკემბერი, ოთხშაბათი,
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

[illegible]

◆ ზუგდიდი

დამთავრდა ქალთა საქალაქო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ხელბურთში, რომელშიც ძირითადად სკოლების მოსწავლეთა კოლექტივები მონაწილეობდნენ. კარგად მომზადებული გუნდი გამოიყვანა მე-2 საშუალო სკოლამ, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო და I ადგილიც დაიკავა.

ა. ფიფია.

ტუაფსეს ფიცარნაგზე

ტუაფსეში, ძალოსანთა საკავშირო თასის გათამაშებაში და ცალკეულ მოძრაობებში სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში 15 დეკემბერს გამოვლინდნენ გამარჯვებულები ქვემსუბუქ წონაში. თასი დაისაკუთრა ი. გოლუბცოვმა (დონეცკი) — 262,5 კგ (და არა რ. ბელენკოვმა, როგორც ეს საკდესის მიზეზით პრესაში იყო აღნიშნული, ბელენკოვმა თასი მოიგო მჩატე წონაში), მასვე დარჩა ოქროს მედალი აკვრაში — 150 კგ. ატაცში ოქრო მოიხვეჭა გ. ქარიმოვმა (ტაშკენტი) — 115 კგ.

მსუბუქი წონის ძალოსანთა ასპარეზობაში პირველად ამ შეჯიბრებაში მოხდა, რომ ყველა უმაღლესი ჯილდო ერთმა სპორტსმენმა მოიპოვა, ეს გახლდათ დონის როსტოვის არმიელი ვ. ტაკუნინი. მან ორჭიდში 297,5 კგ დააგროვა, ხოლო ცალკეულ მოძრაობებში ასეთი შედეგები ჰქონდა: ატაცი — 130, აკვრა — 167,5.

16 დეკემბერს, ქვესაშუალო წონის ათლეტთა ასპარეზობამ პირველი საკავშირო რეკორდი შვა: 20 წლის ლენინგრადელმა პრაპორშჩიკმა ვ. სმირნოვმა დამატებითს, მეოთხე ცდაზე 143,5 კგ აიტაცა, რაც ნახევარი კილოგრამით სჯობს ვოროშილოვგრადელი ვ. მიხაილოვის რეკორდს. სამაგიეროდ, მიხაილოვმა ოქროს მედალი მოიხვეჭა ატაცში — 140 კგ. ასეთივე შედეგები ჰქონდათ მინსკელ ვ. ერმოლჩიკს, ვ. კანიგინს (მოსკოვის ოლქი), რომლებსაც ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები გადაეცათ, და 32 წლის ვეტერან გ. კურენცოვს (მოსკოვის ოლქი). მიხაილოვმა ოქრო მოიგო აკვრაშიც (180 კგ) და თასიც მაღალი შედეგით (320 კგ) დაისაკუთრა.

საშუალო წონის ძალოსანთა ასპარეზობა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონის, მოსკოველი ვ. რიჟენკოვის ტრიუმფით აღინიშნა. მან მესამე ცდაზე 161,5 კგ აიტაცა, რითაც ნახევარი კილოგრამით გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი. რიჟენკოვმა 357,5 კგ (160 + 197,5) დააგროვა და 2,5 კგ-ით გადააჭარბა საბჭოთა ძალოსან დ. რიგერტის მსოფლიო რეკორდს. აკვრაში ტოლი არ ჰყავდა ვოროშილოვგრადელ ზეინკალს ვ. ჟელეზნიაკს — 200 კგ.

17 დეკემბერს ქვემძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონსა და რეკორდსმენს, შახტელ დ. რიგერტს სერიოზული მეტოქეობა გაუწიეს ხმელნიცკელმა ს. პოლტორაცკიმ და ვ. პენკოვსკიმ (მოსკოვის ოლქი). საინტერესოა, რომ ატაცში ოქრო მოიხვეჭა რიგერტმა (160 კგ). ზუსტად ასეთივე მაჩვენებლები ჰქონდათ ლენინგრადელ ბ. სელიცკისა და პოლტორაცკის, რომლებსაც შესაბამისად ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები გადაეცათ.

რიგერტმა ოქრო მოიგო აკვრაშიც — 207,5 კგ. მესამე ცდაზე პოლტორაცკიმ სცადა 210 კგ-ის დაძლევა, მაგრამ ამაოდ. თასიც რიგერტმა მოიგო — 367,5 კგ. მას პოლტორაცკი 2,5 კგ-ით ჩამორჩა.

მძიმე წონის ძალოსანთა შორის ოქროს მედლები მოიგეს მოსკოველმა ვ. იაკუბოვსკიმ (ატაცი — 170 კგ) და როვნოელმა ვ. უსტიუჟინმა (აკვრა — 215 კგ). თასი მოიპოვა იაკუბოვსკიმ — 380 კგ.

„რუსული ზამთრის" ტრასაზე

მოსკოვის იპოდრომზე მოეწყო ავტორბოლა, რომელიც გათვალისწინებული იყო ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის უძლიერეს სპორტსმენთა ტურნირის პროგრამით. ეს შეჯიბრება გახლავთ ავტორალი „რუსული ზამთარი". მარშრუტი ასეთი იყო: ბრესტი — მინსკი — მოსკოვი — ლენინგრადი.

სურათზე: სსრ კავშირის (№№ 17, 19, 21). პოლონეთის (№ 18) და ბულგარეთის (№ 20) მანქანები რბოლის დროს.

ა. კოტუნისა და ა. იაკოვლევის ფოტო (საკდესი).

ფოტოთვალით შეჯიბრებაზე

მკითხველმა უკვე იცის, რომ ახლახან მოსკოვში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი ფიგურულ ციგურაობაში, რომელიც „მოსკოვური ციგურების" სახელწოდებითაა ცნობილი. აქ თავი ისახელეს ნ. დონგაუზერმა და ვ. ბლაგოვმა. წყვილთა სრიალში მათ II ადგილი დაიკავეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ დონგაუზერისა და ბლაგოვის დუეტი სულ რაღაც ექვსი თვეა შეიქმნა, II ადგილის მოპოვება მათთვის მართლაც დიდი წარმატებაა. ეს დუეტი გამოირჩეოდა ოსტატური სრიალით, არტისტიზმით და საკმაოდ რთული ელემენტების უზადო შესრულებით.

სურათზე: სარბიელზე არიან ნ. დონგაუზერი და ვ. ბლაგოვი.

ა. იაკოვლევის ფოტო (საკდესი).

21 დეკემბერს

საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) გაიმართება „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს III პლენუმი.

დღის წესრიგი:

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III და ზაფხულის VI სპარტაკიადებისთვის მზადებაში საქართველოს „სპარტაკის" ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები;

მშდ კომპლექსის ნიშნოსნების მოსამზადებლად „სპარტაკის" აჭარის საოლქო საბჭოს საქმიანობის შესახებ.

დასაწყისი 12 ს.

ახალი ამბები-73

● მოსკოვი, 17 დეკემბერი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში დღესაც დიდძალი მაყურებელი მოვიდა — გრძელდება გაზეთ „იზვესტიის" პრიზის ტრადიციული გათამაშება ჰოკეიში. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის — შვეციის ნაკრებისა და ფინეთის ეროვნული გუნდის შეხვედრამ. შვედებს საერთოდ უჭირთ ფინელებთან თამაში. ამჯერადაც ასე მოხდა: ფინელებმა საუცხოოდ ითამაშეს და დაამარცხეს მრისხანე მეტოქე — 5:2 (0:0, 3:0, 2:2). სსრ კავშირის ნაკრებმა იოლად სძლია პოლონელებს — 10:1 (4:0, 5:1, 1:0).

● ვილნიუსი 17 დეკემბერი. დახურულ შენობებში ახალი მძლეოსნური სეზონი შესანიშნავი ნახტომით დაიწყო ადგილობრივი საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის სტუდენტმა, 24 წლის კესტუტის შაპკამ. „დინამოს" მანეჟში ლიტვის დედაქალაქის უძლიერეს მძლეოსანთა ასპარეზობის დროს მან 220 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა.

ჟამი ფიქრისა და განსჯისა

ლამაზი ფასადის მიღმა

როცა ქართულ სპორტზე ლაპარაკობენ, უთუოდ ახსენებენ ჭიდაობას, როგორც ტრადიციულ ეროვნულ სახეობას. ქართული სპორტის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ექსპორტი", უპირველეს ყოვლისა, სწორედ ჭიდაობით ხორციელდება. ჩვენ, ქართველ სპორტსმენებს, ფეხბურთთან, კალათბურთთან, ჩოგბურთთან და სხვა სახეობებთან ერთად მსოფლიოში თავი მოგვაქვს ჭიდაობაში მოპოვებული მიღწევებით.

ერთი წუთით წარმოიდგინეთ ქართული სპორტი ჭიდაობის გარეშე... ეს იქნებოდა აუნაზღაურებელი დანაკლისი, ძველთაძველი პოზიციებიდან უკან დახევა, ჩვენი სპორტული დიდების მკვეთრი გაუფერულება. აღარ იარსებებდა სახეობა, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე მისდევდა ქართველი კაცი, მისდევდა სიყვარულით, რაინდული თავგამოდებით, შესაშური მზრუნველობით, თვით მოკრძალებითაც კი.

საბედნიეროდ, ქართული ჭიდაობის პესიმისტური სურათი, რომელიც უნებლიეთ ვახსენეთ, მხოლოდ ფანტაზიის სფეროა. ვერავითარი ძალა, ვერავითარი ვითარება ვერ გაანელებს ქართველ ახალგაზრდობაში სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის სიყვარულს. მაგრამ ისიც მართალია, რომ ძველისძველ ტრადიციებს, ქართული ჭიდაობის დიდებას გაფრთხილება, განმტკიცება, მოვლა-პატრონობა სჭირდება. ქართველ მოჭიდავეთა თაობებმა საუკუნეთა მანძილზე წმიდად და შეუბღალავად მოიტანეს ჩვენამდე. თანამედროვე ფალავნებს და მწვრთნელებს ჩაგვაბარეს რაინდული საჭიდაო ინსტიტუტი და ჩვენ უფლება არა გვაქვს ქარს გავატანოთ ეს მონაპოვარი.

საქართველოს მოჭიდავეთა ქვეყანას ეძახიან, საქართველოს იცნობენ, როგორც სსრ კავშირის, მსოფლიოს, ოლიმპიურ ჩემპიონთა სამშობლოს. ეს რეპუტაცია კვლავაც შეულახავი უნდა დარჩეს. ძნელი მისია დაეკისრა ფალავანთა ახალ თაობას. ჭიდაობამ ფეხი მოიკიდა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ჩვენს თვალწინ (ერთი თაობის თვალწინ) გაუფერულდა თვით თურქ და ირანელ მოჭიდავეთა ხელოვნება, ირღვევა ჭიდაობის კლასიკური სკოლების საფუძვლები, სულ ახალი და ახალი ქვეყნები ებმებიან ჩემპიონობისთვის ბრძოლაში.

უფრო მცირე მასშტაბით იგივე პროცესი შეინიშნება საბჭოთა ქვეყანაშიც, სადაც საკავშირო სარბიელზე თამამად გამოვიდნენ და უკვე თქვეს თავიანთი სიტყვა ეგრეთ წოდებულმა „არასაჭიდაო" რესპუბლიკებმა.

ასეთი მძაფრი კონკურენციის პირობებში, ძველი და ახალი საჭიდაო სკოლების უშეღავათო ბრძოლის ვითარებაში, ძნელია შეინარჩუნო ადგილი მზის ქვეშ (იგულისხმეთ საპრიზო ადგილები).

აი, რა ფარული და აშკარა პროცესები მიმდინარეობს, ერთი შეხედვით ისეთ ტრადიციულ და „წყნარ" სახეობაში, როგორიც ჭიდაობა გახლავთ. თუ ხატოვნად ვიტყვით, თანამედროვე ჭიდაობა მოჰგავს ხომალდს, რომელსაც ცურვა უხდება წყალქვეშაქვებიან მდინარეებში. ვიმეორებ, ჭიდაობა მით უფრო „სახიფათო" სახეობაა, რადგანაც განვითარება-დაქვეითების პროცესი ერთობ ფარულია და შეუიარაღებელი თვალით მისი დანახვა-ანალიზი ძალიან ჭირს.

მოდით, თქვენთან ერთად შევეცადოთ ამ ფარული პროცესის ანალიზს, კერძოდ, ქართული ჭიდაობის, უფრო სწორად, თავისუფალი ჭიდაობის მაგალითზე. საამისოდ მოგვიხდება ჯერ გავაკეთოთ პატარა „ისტორიული" ექსკურსი.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა დიდ როლს თამაშობდნენ მრავალი წლის მანძილზე ქართველი მოჭიდავეები საპრიზო ადგილების განაწილებაში არა მარტო საკავშირო, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც. ნუ გამოვეკიდებით დაწვრილებითს სტატისტიკას. საქართველოში არ მეგულება კაცი, რომელსაც ზოგადად მაინც არ სმენოდეს ჩვენი სახელოვანი ფალავნების ტრიუმფულ გამარჯვებათა ამბავი. ჩემს თავს უფლებას მივცემ მკითხველს გავახსენო მხოლოდ ტოკიოს 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საბჭოთა გუნდის შემადგენლობა: მირიან ცალქალამანიძე, ვარლამ გიგიაძე, ნიკოლოზ მუზაშვილი, სერგო გაბარაევი, ვახტანგ ბალავაძე, გივი კარტოზია, ავგუსტინ ენგლასი, არსენ მეკოკიშვილი.

გამოჩენილი ესტონელი მოჭიდავე ენგლასი რომ არა, მკითხველი იფიქრებდა, ეს გუნდი ალბათ საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრებიაო. დიახ, ეს იყო თავისუფალი ჭიდაობის ქართული სკოლის ოქროს ხანა, როცა საბჭოთა ქვეყნის სპორტულ სახელს უდიდეს საერთაშორისო ტურნირებსა და შეჯიბრებებში მეტწილად ჩვენები იცავდნენ.

ასეთი ასპარეზობა, რამდენიც გნებავთ, იმდენი იყო. აქედან დაიწყო სწორედ ქართული სპორტის „ექსპორტი". ბოლო წლებში ჩვენი მოჭიდავეების (ვგულისხმობ თავისუფალ ჭიდაობას) ხვედრითი წონა ნაკრებ გუნდებში წარმომადგენლობის თვალსაზრისით თანდათან კლებულობდა და ბოლოს... თუმცა ამაზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ.

მაინც, რით იყო განპირობებული ეგრეთ წოდებული ოქროს ხანა ჩვენს ჭიდაობაში? რა მაცოცხლებელი წყაროები ჰკვებავდა მას? რატომ იყვნენ აგრერიგად აღზევებული მსოფლიო სარბიელზე ჩვენი თავისუფალი სტილის მოჭიდავეები? ამის გარკვევა და წარმოჩენა უფრო იმისთვის გვჭირდება, რათა დავინახოთ დიდი კონტრასტი ძველი და ახალი ჭიდაობისადმი დამოკიდებულებაში.

(დასასრული მე-2 გვ.)

ჟამი ფიქრისა და განსჯისა

ლამაზი ფასადის მიღმა

დასასრული

მე, თუ შეიძლება ითქვას, მივეკუთვნები ომის შემდგომ ქართველ მოჭიდავეთა საშუალო თაობას, ამიტომ თითქოს ზეკარზე ვდგავარ, საიდანაც კარგად ჩანს ჩვენი ჭიდაობის წარსული და აწმყო.

რა სურათი იყო ქართულ ჭიდაობაში, როცა პირველ ნაბიჯებს ვდგამდი ფალავანთა სპორტში? ეს იყო დიდი სამყარო, დასახლებული გოლიათებით, რომელთაც ღირსების საქმედ მიაჩნდათ ფალავნის საპატიო სახელის ტარება. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ამ ჩინებულ ფალავნებს ჭიდაობის გარდა ქვეყნად არაფერი აინტერესებდათ. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ იყო. მათი ინტერესების წრე უაღრესად ფართო გახლდათ. ვინ ვინ და მაშინდელი მოჭიდავეები აშკარად „გამოსულ“ ხალხად ითვლებოდნენ, მაგრამ, ვიმეორებ, ჭიდაობისადმი მათი დამოკიდებულება საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულის, ერთგულების, სიწმინდის, კაცური კაცობის ნიმუშს წარმოადგენდა.

ეს ჯანსაღი ფსიქოლოგიურ-მორალური ფაქტორი დიდად განსაზღვრავდა ქართველ ფალავანთა რაზმის ძლევამოსილ წინსვლას ურთულეს საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში.

თუ წმინდა სპორტულ მხარეზე ვილაპარაკებთ, აქაც ბევრი იყო წარმატების განმსაზღვრელი პირობა. უპირველეს ყოვლისა, ეს გახლდათ ჭეშმარიტი მასობრიობა. ძველისძველი ტრადიციებისა და სახელგანთქმული ფალავნების მეოხებით ქართული ჭიდაობა იყო ჩვენი ახალგაზრდობისთვის ერთ-ერთი ყველაზე მომხიბლავი სპორტული სარბიელი. ამ სარბიელზე ფეხის შედგმა შეეძლო მხოლოდ იმას, ვისი ოსტატობაც განმტკიცებული იყო ეროვნული ქართული ჭიდაობის საფუძვლებით, ესე იგი, მოზარდს ძვალსა და რბილში უნდა ჰქონოდა გამჯდარი ნახერხმოყრილ მოედნებზე ნასწავლი ტრადიციული ეროვნული ჭიდაობის მრავალფეროვანი ილეთები. ჭიდაობით დაინტერესებული ჭაბუკი თავის საყვარელ სახეობას თავდაპირველად ეზიარებოდა საქართველოს მრავალ კუთხეში არსებულ დარბაზებში, მოედნებზე, ხალიჩებზე, სადაც გაუთავებლად გაისმოდა ფალავანთა სპორტთან განუყრელი დოლისა და ზურნის ხმა.

ქართული ეროვნული ჭიდაობის ბევრი უნიკალური ხერხი არა მარტო სასიამოვნო კოლორიტს აძლევდა ეგრეთ წოდებულ აკადემიურ სახეობებს, არამედ მეტოქეებისთვის თავსატეხ და ამოუცნობ ელემენტსაც წარმოადგენდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული ჭიდაობის ილეთებისა და ხერხების გამოუყენებლად იმ დროის ქართველი ფალავნები ვერ მიაღწევდნენ ესოდენ თვალსაჩინო წარმატებებს დიდ შეჯიბრებებში. ქართველ მოჭიდავეთა მძლავრ რაზმს ამოუწურავი კადრები ჰყავდა რესპუბლიკის რაიონებიდან და სოფლებიდან. ისინი, ნიჭიერი ახალგაზრდა ფალავნები, ჩამოდიოდნენ მთებიდან, კახეთიდან, ქართლიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან და სხვა კუთხეებიდან. ჭიდაობა ჭეშმარიტად საერთო-სახალხო სიყვარულით იყო გარემოსილი...

დღეს კი რა სურათს ვხედავთ? ჭიდაობის აღიარებულ ცენტრად იმთავითვე თბილისი ითვლებოდა, მაგრამ დღესდღეობით ამ ქალაქზე მოდის მოჭიდავეთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა. კლებულობს ფალავანთა ნაკადი რაიონებიდან და სხვა ქალაქებიდან. ეს ნაკადი ძველად წყალუხვ მდინარეს ჰგავდა, ახლა კი ნაკადულსღა მოგვაგონებს. სხვადასხვა მიზეზის გამო, რასაც ხელი შეუწყო ადგილებზე ჭიდაობისადმი უგულისყურო დამოკიდებულებამ, ინტერესი ფალავანთა სპორტისადმი საგრძნობლად შენელდა. გაქრა ნახერხმოყრილი მოედნები, მხოლოდ აქა-იქ ვხედავთ დღესასწაულების დღეებში საჭიდაო ჩოხაში გამოწყობილ ჭაბუკებს, მოიშალა ეროვნული ჭიდაობის ტრადიციები, მას მხოლოდ ერთგვარი კოლორიტისთვის მისდევენ, როგორც უჩვეულო ეგზოტიკურ სანახაობას.

შედეგი? შედეგი მეტად სამწუხაროა: ჭიდაობისკენ ისედაც ცოტა ხალხი ილტვის და ვინც მოდის, იმანაც თითქმის არაფერი უწყის ეროვნული ჭიდაობისა. ნედლი „მასალა“ ძველებურად ხარისხიანი ვერ არის. ასეთი მოჭიდავე, როცა საფალავნო სკოლას გაივლის, მეტოქეებს მათივე „იარაღით“ ებრძვის. უფრო მეტიც: ჩვენმა სპორტულმა კონკურენტებმა, რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ჩვენგან გადაიღეს და იყენებენ ქართული ეროვნული ჭიდაობის ელემენტებს, რაც ერთობ ეფექტურად გამოიყურება, მაგრამ ახალ პრობლემებს აყენებს ჩვენი ფალავნების წინაშე.

მაშ ასე, ჩვენი წარმატების უპირველესი საწინდარი — მასობრიობა და ეროვნული ჭიდაობის მაცოცხლებელი წყარო — თოვლივით შემოგვადნა ხელში. ჩვენმა უკანდახევამ ამ ძირითად მომენტში მნიშვნელოვანწილად განაპირობა ერთგვარი ჩამორჩენა თავისუფალ ჭიდაობაში.

როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთ სფეროში თაობათა ცვლა ისე სწრაფად არ ხდება, როგორც სპორტში. სპორტსმენის „სამოქმედო ხანა“ შედარებით პატარაა. ამიტომ მწვრთნელებს, სპეციალისტებს გამუდმებით მართებთ თვალყურის დევნება ამ გარდაუვალი პროცესის მიმართ. ეს საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება გახლავთ, რომელსაც რატომღაც ხშირად ივიწყებენ.

ამ მხრივ ჩვენი თაობის მოჭიდავეებს საქმე შედარებით უკეთ ჰქონდათ. ახალგაზრდა ფალავნებს შესაძლებლობა ეძლეოდათ მძაფრი კონკურენციის პირობებში აღიარებულ ავტორიტეტებთან დაემტკიცებინათ თავიანთი ძალა და უნარი. ერთი სიტყვით, ვეტერანი ხშირად ხანდაზმულობის მიზეზით კი არ მიდიოდა სარბიელიდან, არამედ ახალგაზრდა კოლეგების მძლავრი შემოტევის გამო. ღირსეულ წინამორბედს „სიცოცხლეშივე“ ღირსეული მემკვიდრე უჩნდებოდა. ამიტომ წარმატებათა ჯაჭვი არ წყდებოდა. თანაც, ახალგაზრდა ფალავანი ჭიდაობის პროცესში ბევრ რამეს სწავლობდა გამოცდილი მეტოქეებისგან.

ასე ბედნიერად წყდებოდა მაშინ თაობათა ცვლის რთული პრობლემა.

იმ პერიოდში შინაური შეჯიბრებები არაფრით ჩამოუვარდებოდა საკავშირო ასპარეზობებს. ყველა გამოჩენილ ფალავანს, გინდა მსოფლიო ჩემპიონიც ყოფილიყო, სახელად მიაჩნდა ყოფილიყო რესპუბლიკის ჩემპიონი.

ახლა იგივე პრობლემები გადაუწყვეტელ საკითხებად იქცა. ავიღოთ თაობათა ცვლის პროცესი. გადავხედოთ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა იმ კატეგორიას, სადაც მრავალი წლის მანძილზე სახელოვნად ასპარეზობდა ზარბეგ ბერიაშვილი. ჭეშმარიტად დიდი წვლილი შეიტანა ამ ფალავანმა ქართული ჭიდაობის განდიდებაში. იგი ნამდვილად დაუღლელი მოჭიდავე იყო. მაგრამ მარადიული ამ ქვეყნად არაფერია და, როცა წლეულს ჩვენმა საზოგადოებრიობამ გულთბილად გააცილა იგი დიდი სპორტიდან, აღმოჩნდა, რომ ბერიაშვილს ღირსეული მემკვიდრე არ ჰყავდა.

რა მოხდა? ამ წონით კატეგორიაში (74 კგ), რომელშიც თითქმის ყველანაირი ტიტულები ჩვენი იყო, ამჟამად საკავშირო სარბიელზეც კი საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლი აღარავინ გვყავს. ასე მოიშალა საუკეთესო ტრადიცია, ასე მოხდა მწვრთნელთა უგულისყურობის, რომ არა ვთქვათ, უდარდელობის გამო.

სხვათა შორის, ასეთივე საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა სხვა წონით კატეგორიებშიც, მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

მწვრთნელთა პრაგმატიზმი, უფრო სწორად, პრაგმატული დამოკიდებულება ფალავანთა სპორტისადმი. ეს გამოთქმა უცნობი იყო ჭიდაობის ოქროს ხანისთვის. იყო მწვრთნელთა, აღმზრდელთა, პედაგოგთა დიდი ენთუზიაზმი, მონდომება, საქმის ფანატიკური სიყვარული. მწვრთნელს სამუშაო დღის მანძილზე ასკეცი ტყავი სძვრებოდა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. „შენჩემობა“ (იგულისხმეთ კონფლიქტი და დავიდარაბა იმის თაობაზე, თუ ვინ გამოზარდა ესა თუ ის მოჭიდავე) არ არსებობდა, სპორტსმენი მამასავით ენდობოდა თავის აღმზრდელს, ვინაიდან მასში სიკეთისა და პატიოსნების მეტს ვერაფერს ხედავდა. იქმნებოდა ნამდვილად მამაშვილური ატმოსფერო, როცა მწვრთნელიცა და აღსაზრდელიც ჰარმონიული მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის ნიმუშს იძლეოდნენ. კარგი დრო იყო. ოდნავადაც არ მინდა იმ პერიოდის გაიდეალება, მაგრამ ბევრი დამეთანხმება, რომ სწორედ ასე გახლდათ.

ეს ტრადიციაც, რომელიც განუყრელად თან სდევდა ჩვენში ჭიდაობას, საგრძნობლად შეირყა. ახლა ბევრი მწვრთნელი პრაქტიკული მოსაზრებითაა გატაცებული, რა თქმა უნდა, თავისი ძირითადი საქმისა და მოვალეობის საზიანოდ. გამოზარდა ერთი ჩემპიონი, მიიღო სათანადო წოდება — თავისი მისია შესრულებული ჰგონია და თავს მაინცდამაინც აღარ იტკივებს ახალახალი ტალანტების წარმოჩენით.

ნაკლებად ფიქრობენ აღსაზრდელებზე ხალიჩის გარეთაც — რითი ცხოვრობენ, რითი სულდგმულობენ, რა უჭირთ, რა ულხინთ... „შენჩემობამ“ ფართოდ მოიკიდა ფეხი მწვრთნელთა განსაზღვრულ ნაწილში. დამერწმუნეთ, როცა პრაქტიციზმი, კინკლაობა, შენჩემობა ფართოდ იკიდებს ფეხს, ეს დიდად მოქმედებს სპორტულ მხარეზეც. უღირს მასწავლებელს უღირსი მოწაფე ჰყავს, მწვრთნელთა პრაქტიციზმს აღსაზრდელებიც თავიანთი პრაქტიციზმით უპასუხებენ. იმღვრევა დაწმენდილი მდინარე, მღვრიე წყალში კი თევზის დაჭერა, ანუ სპორტული წარმატების მიღწევა, გავრცელებული ანდაზის საწინააღმდეგოდ, ძნელზე ძნელი საქმეა.

ასეთი ვითარება მესახება, როცა თავისებური ზეკარის სიმაღლიდან გავყურებ თავისუფალი ჭიდაობის არცთუ შორეულ წარსულსა და აწმყოს. ეს შენიშვნები ნაკარნახევია იმით, რომ მე, ისევე როგორც ჭიდაობის ბევრ ვეტერანს, გული შემტკივა ჩვენი ოდესღაც უძლეველი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა სკოლის დაქვეითების გამო.

როგორც ჩანს, მოვიდა დრო, როცა ჭიდაობაზე, რომელსაც დღემდე ლამაზი ფასადი აქვს, მაგრამ სინამდვილე სულ სხვას ამტკიცებს, არანაკლებ უნდა ვიზრუნოთ, ვიდრე სპორტის ტრადიციულად ჩამორჩენილ სახეობებზე.

ახლა კი საბოლოოდ გავხსნათ ფრჩხილები და გადავხედოთ საქმის რეალურ ვითარებას. რას წარმოადგენს რესპუბლიკის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები, ვის აბარია ამ ტრადიციულად მძლავრი რაზმის ბედიღბალი, რისი უნარი შესწევთ მათ, წარსულში სახელოვან მოჭიდავეთა მემკვიდრეებს? განვიხილოთ ეს საკითხი ნაბიჯ-ნაბიჯ, ანუ წონითი კატეგორიების მიხედვით.

დავიწყოთ უმჩატესი წონითი კატეგორიიდან (48 კგ). ამ წონაში დღეს განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა გვაქვს. ძირითადად იმედებს ვამყარებთ ახალგაზრდა ფალავნებზე სულაქველიძეზე და კოტორაშვილზე. სულაქველიძე მონაწილეობდა სსრ კავშირის თასის წლევანდელ გათამაშებაში, სადაც ყველა (!) შეხვედრა წააგო. ასე უსახელოდ დავთმეთ ბრძოლა ამ წონაში.

უკეთესი მდგომარეობა არც მჩატე წონით კატეგორიაში (52 კგ) გვაქვს. ჯერჯერობით მისმა წარმომადგენლებმა მიქელაძემ, მაღალაშვილმა და ჩხაიძემ სახარბიელო ვერაფერი გვიჩვენეს.

ძლიერი მოჭიდავეები არიან მომდევნო წონითი კატეგორიის (57 კგ) წარმომადგენლები დობორჯგინიძე და ალიბეგაშვილი, მაგრამ, სამწუხაროდ, მათს ზურგს უკან ჯერჯერობით არც ერთი ღირსეული „დუბლიორი“ არ დგას.

საკავშირო თასის გათამაშებაში კარგად ვერც მსუბუქ (62 კგ) წონაში, გამოვედით, სადაც ტრავმის გამო ვერ იასპარეზა გუნდის ლიდერმა გ. ყვარელაშვილმა, მისი ღირსეული შემცვლელი კი ვერ მოიძებნა.

როგორც იტყვიან, ბედის ანაბარაა მიტოვებული პირველი ქვესაშუალო წონა (68 კგ). აქ არც ერთი ასე თუ ისე საიმედო მოჭიდავე არ ჩანს.

რაც შეეხება მეორე ქვესაშუალო წონას (74 კგ), სადაც წლების მანძილზე გამოდიოდა ბერიაშვილი, მასზე უკვე გვქონდა საუბარი.

მარსაგიშვილი პირველ საშუალო წონით კატეგორიაში (82 კგ) გახლავთ ის ფალავანი, რომელსაც ნებისმიერ შეჯიბრებაში შეუძლია გამოიჩინოს თავი, მაგრამ ეს ნიჭიერი მოჭიდავე, სამწუხაროდ, მძიმედ დაშავდა და ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს. მარსაგიშვილის მაგივრობას გასწევდა პერსპექტიული სპორტსმენი ილურიძე, მაგრამ საუცხოო მონაცემების მქონე მოჭიდავე არასაკმაოდ ვარჯიშობს, რის გამოც თავის შესაძლებლობებს მაქსიმალურად ვერ ავლენს. ვფიქრობ, ურიგო შედეგებს არ მიაღწევს ავსაჯანაშვილი, რომელსაც არც მონდომება აკლია, არც ფიზიკური მონაცემები.

თედიაშვილი (90 კგ) მსოფლიო ჭიდაობის აღიარებული ლიდერია. მისი „თანამებრძოლი“ მარშანია, საბჭოთა ქვეყნის ექს-ჩემპიონია. ამ წონით კატეგორიაზე კარგის მეტი რა ითქმის!

მონდომებული მუშაობით გაცილებით დიდ წარმატებებს შეგვიძლია მივაღწიოთ ქვემძიმე (100 კგ) წონაში, სადაც გამოდიან ჩინებული მონაცემების მქონე ფალავნები ნიკურაძე, მოსეშვილი და ცნობილაძე. ამ სპორტსმენებს ძალუძთ დაუმარცხებელი ფალავნის სახელის მოპოვება, თუ უფრო მეტად იზრუნებენ ხარვეზთა აღმოსაფხვრელად. ისე კი ჯერჯერობით მათზე ძვირი არ ითქმის.

მოდებაძე (100 კგ-ს ზევით) უკვე დიდი ხანია საყოველთაო ყურადღება მიიქცია, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ერთგვარად შეანელა წინსვლა. მოდებაძის სპორტული ღირსებები რეკომენდაციებს არ საჭიროებს, მაგრამ ახალგაზრდა გოლიათი ნაკლებად ფიქრობს ტექნიკისა და ტაქტიკის სრულყოფაზე. წავიდა ის დრო, როცა გიგანტები მხოლოდ თავიანთი ღონისა და მასის მეოხებით იმარჯვებდნენ. ახლა მძიმე წონის მოჭიდავეებს, მით უმეტეს, თუ ყველაზე საპატიო ტიტულებისთვის სურთ იბრძოლონ, გაცილებით დიდ მოთხოვნებს უყენებენ. ნოდარს არ უნდა გამოეპაროს მხედველობიდან ეს ამბავი.

ასეთი გახლავთ, ჩემი აზრით, დღევანდელი ვითარება თავისუფალ ჭიდაობაში. იქნებ, ბევრი მკითხველისთვის ჩვენი კრიტიკული შენიშვნები მოულოდნელი და ერთგვარად სენსაციურიც გამოდგეს, მაგრამ სინამდვილეს ვერსად გავექცევით. ჩვენ, თავისუფალი სტილის მოჭიდავეებსა და მწვრთნელებს, არ უნდა გვაკმაყოფილებდეს ასეთი კონტრასტული სურათი. მაგალითად, თუ 1954 წელს ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატში ლამის მთელი საბჭოთა კავშირის ნაკრები ქართველი ფალავნებით იყო შედგენილი, თეირანის წლევანდელ მსოფლიო პირველობაზე საქართველომ მხოლოდ ლევან თედიაშვილი „მიავლინა“. ასეთი გზით სიარული საბოლოოდ სამწუხარო ფინალამდე მიგვიყვანს. საქმეს დროით უნდა მოვკიდოთ ხელი, თორემ მერე გვიანღა იქნება თითზე კბენანი.

როცა საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ოსტატობაზე ვლაპარაკობთ, განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება სწორედ იმ მომენტებზე, რომლებიც ძირითადად აფერხებს ჩვენი ფალავნების შემდგომ მიღწევებს. დაე, ნურავინ იფიქრებს, რომ ჭიდაობის ქვეყანაში ტალანტები დაილია, რომ სწორი, გააზრებული, შემოქმედებითი მუშაობის შედეგად ჩვენ აღარ შეგვიძლია გამოვზარდოთ ახალი ჩემპიონები, ახალი ფურცლები ჩავწეროთ მრავალსაუკუნოვანი საფალავნო სკოლის ისტორიაში. ოღონდ, როგორც აღვნიშნეთ, ძველი - საშუალებებით, უფრო სწორად, მოძველებული მეთოდებით მუშაობა ხეირს არ მოგვიტანს.

ერთი სიტყვით, თავისუფალი ჭიდაობა (და არა მარტო თავისუფალი ჭიდაობა) დგას ახალი, დიდმნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე. ზემოთ ჩვენ შევეცადეთ ზოგადად გვესაუბრა ამ საკითხებზე და მათს გამომწვევ მიზეზებზე, შეძლებისდაგვარად წარმოვადგინეთ თავისუფალი ჭიდაობის გუშინდელი და დღევანდელი ვითარება. დიაგნოზი, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაისვა, მაგრამ ჩვენი ანალიზი ჩალის ფასადაც არ ეღირებოდა, თუ სამკურნალო-პროფილაქტიკურ საშუალებებსაც არ დავასახელებთ.

პირველ ყოვლისა უნდა გავიხსენოთ ყველანაირი სახეობის, მათ შორის ჭიდაობის ისეთი უშრეტი წყარო, როგორიცაა ბავშვთა და მოზარდთა სპორტი. არც ეს გახლავთ ახალი მოსაზრება, მაგრამ საკითხი ახლა განსაკუთრებით მწვავედ დგას. მას შემდეგ, რაც აქტიურ სპორტს გამოვეთხოვე, სხვადასხვა მიზეზის გამო ერთ ხანს თითქმის მთლიანად მოვწყდი ჭიდაობის სამყაროს. ახლა კვლავ დავუბრუნდი საყვარელ სახეობას როგორც მწვრთნელი, და ჩემთვის განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ჩვენს ჭიდაობაში მიმდინარე, გარეშე თვალისთვის უხილავი პროცესები.

აღმოჩნდა, რომ ჭიდაობის ჯეჯილი ისეთი ხშირი და მოსავლიანი როდია, როგორც უწინ იყო. შესაძლებელია, ყოველივე ეს გამოიწვია ერთგვარი მოჩვენებითი ანდა რეალური კეთილდღეობის ვითარებამ თავისუფალი ჭიდაობის სამყაროში, როცა მრავლად გვყავდნენ ყოველნაირი რანგის ჩემპიონები. მწვრთნელებს, რა თქმა უნდა, იმ პერიოდში არ შეუწყვეტიათ მუშაობა ბავშვებთან და მოზარდებთან, მაგრამ მათს საქმიანობაში მაინც აღარ იგრძნობოდა ძველებური ენთუზიაზმი.

შეუიარაღებელი თვალისთვის უხილავმა ამ მოდუნებამ უარყოფითად იმოქმედა ღირსეული ცვლის მომზადებაზე. შეამჩნიეთ თუ არა, რომ ბოლო წლებში თითქმის არაფერი ისმის პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში ნორჩ ფალავანთა ასპარეზობათა შესახებ, აფიშები კანტიკუნტად, თითქოს მოვალეობის მოხდის მიზნით ძუნწად იტყობინებიან ბავშვთა შეჯიბრებებზე, მოიშალა კეთილი ტრადიცია, როცა მოზარდთა თითქმის ყველა ტურნირს დიდი მზრუნველობით ეკიდებოდნენ არა მარტო ორგანიზატორები და მწვრთნელები, არამედ სახელმოხვეჭილი ფალავნებიც.

თავისუფალი ჭიდაობის ნორჩი პოტენციური თაყვანისმცემლები გადაიბირეს სპორტის სხვა სახეობებმა. მომავალ გოლიათთა რიგები „უცხოური“ [illegible]ლაშის ანუ ცუდი პოპულარიზაციის გამო საგრძნობლად შეთხელდა. გამოსავალი მხოლოდ ერთია: კვლავ უნდა ავაღორძინოთ თავისუფალი ჭიდაობა რესპუბლიკის სკოლებში, სპორტსაზოგადოებებში და სხვაგან. მიზანშეწონილი და აუცილებელიც კია, ჩვენი აზრით, შეიქმნას ჭიდაობის სპეციალიზებული სკოლა-ინტერნატი, სადაც თავს მოიყრის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გამოვლენილი ჭეშმარიტად ნიჭიერ მოჭიდავეთა თაობა. ამ თაობიდან გამოსული ფალავნები შეავსებენ რესპუბლიკის ნაკრები გუნდების რიგებს. ისინი გამოიზრდებიან განსაკუთრებული ყურადღებისა და მზრუნველობის ატმოსფეროში, რადგანაც სწორედ მათი იმედი ექნებათ საქართველოს ჭიდაობის მესვეურებს. სამისო მაგალითი, საბედნიეროდ, უკვე გვაქვს: გლდანის სკოლა-ინტერნატში არსებულმა კლასიკური ჭიდაობის ჯგუფმა, რომელსაც სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი კ. პაისურაძე ხელმძღვანელობს, არა მარტო რესპუბლიკის გუნდს, არამედ საკავშირო ნაკრებსაც რამდენიმე ჩინებული ფალავანი გამოუზარდა. თუ კი ეს შეძლო ერთადერთმა ჯგუფმა, წარმოიდგინეთ, რაოდენ დიდ ეფექტს მოგვცემს სპეციალიზებული სკოლა-ინტერნატის დაარსება.

რაკი დავადგინეთ თავისუფალი ჭიდაობის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი მთავარი პირობა (ბავშვთა და მოზარდთა ჭიდაობის აღორძინება), სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს მისი მაცოცხლებელი წყაროების შექმნის პრობლემაც. სხვანაირად ჩვენ საქმეს მტკიცე საძირკველს ვერ ჩავუყრით და შენობა უხარისხო გამოგვივა.

და კიდევ ერთი: ალბათ საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთ სფეროში თვალსაჩინოებას ისეთი დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება, როგორც სპორტში. ცნობილი სპორტსმენების მაგალითი აღაფრთოვანებს ურიცხვ მოზარდს მათი გზის გასაგრძელებლად. დიახ, ჭეშმარიტად უსაზღვროა თვალსაჩინო მაგალითის ძალა და გავლენა მოზარდის ცნობიერებაზე.

სამწუხაროდ, ჩვენი ნორჩი თაობა მეტწილად მოკლებულია სახელმოხვეჭილი ქართველი ფალავნების ასპარეზობის უშუალო ხილვის სიამოვნებას, რადგანაც „ძლიერნი ამა ქვეყნისა“ გაურბიან შინაურ ტურნირებში მონაწილეობას. „ექსპორტი“ დიახაც კარგია, მაგრამ ეს საკუთარი „ბაზრის“ საზიანოდ როდი უნდა ხდებოდეს. ჩემპიონთა ოსტატობა ჩვენ გვჭირდება არა ძვირფასი ლითონისგან ნაწრთობი მედლების მოსაპოვებლად, არამედ მოზარდთა შორის ჭიდაობის პოპულარიზაციისთვის, მათი შემდგომი დაოსტატებისთვის. დაე, ნურც ერთ სახელოვან ფალავანს ნუ ეთაკილება რესპუბლიკის მასშტაბის შეჯიბრებებში გამოსვლა. რამეთუ ამით ისინი პირველ ყოვლისა ხელს შეუწყობენ ჩვენი სპორტის განვითარებას.

ყურადღებით უნდა შევამოწმოთ, გავამრავალფეროვნოთ, დავხვეწოთ მოჭიდავეთა წვრთნა-ვარჯიშის პროცესი. საიდუმლო არ არის, რომ დღესდღეობით ჭიდაობა გაცილებით ინტენსიურ დატვირთვას მოითხოვს წინანდელთან შედარებით, მოჭიდავეს ახლა ასკეცი ტყავი სძვრება, რათა გაუძლოს უმძაფრეს კონკურენციას.

ყველა სახელოვან მოჭიდავეში ბედნიერადაა შერწყმული დიდი ნიჭი და არანაკლებ დიდი შრომისმოყვარეობა. თავის მხრივ, მწვრთნელებმა თავიანთი „ძველებური“ არსენალი უნდა გაამდიდრონ ჭიდაობის უახლესი მეთოდებით, არავითარ შემთხვევაში არ ჩათვალონ თავი ყოვლისმცოდნე სპეციალისტებად, იყვნენ საბჭოთა და უცხოური საჭიდაო სკოლების სიახლეთა კურსში.

მწვრთნელის ლამის ფანატიკური სიყვარული თავისი საქმისადმი: განა ამის ნიმუშს არ წარმოადგენს ამჟამად უძლეველი საბჭოთა გოლიათის ი. იარიგინის მწვრთნელის ბ. მინდიაშვილის მოღვაწეობა? მან ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ტაიგის ტყეებში სდია ნიჭიერ ფალავანს, წყალუხვ მდინარეს საპირისპირო მიმართულებით აუყვა, გაუკვალავი გზებით იარა, ვიდრე მომავალ ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონს აღმოაჩენდა და ტყისმჭრელ ჭაბუკს საჭიდაო ხალიჩას დაუბრუნებდა.

ხედავთ, მარტო კეთილსინდისიერი, მაგრამ ოთხ კედელს შორის მოქცეული მუშაობა ჭიდაობის მწვრთნელისთვის საკმარისი აღარ ყოფილა. ეს საქმიანობა სცილდება დარბაზს, საჭიდაო ლეიბს და ცხოვრების შუაგულისკენ გვიხმობს. და, თუ საჭირო გახდა, მწვრთნელს მდინარის აღმა მიმართულებით სვლაც მართებს...

ზ. ხალარაძე,
სსრ კავშირის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ყინული დაიძრა



ახლა ხშირად გაიგონებთ, სპორტი გაახალგაზრდავდაო. ეს მართლაც ასეა და, საბედნიეროდ, გამონაკლისი არც ფარიკაობაა. ამ ბოლო ხანს მსოფლიო ფარიკაობაში მოწინავე ადგილი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ახალგაზრდა თაობას უკავია. გაახალგაზრდავდა ქართული ფარიკაობაც. ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებში ვერც ერთ ვეტერანს ვეღარ ნახავთ. მით უფრო სასიხარულოა, რომ ბოლო ხანს ახალმა თაობამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია საკავშირო სარბიელზე. თუნდაც ის, რომ პროფკავშირთა საკავშირო ჩემპიონატში ქუთაისელმა ა. გაგულაშვილმა ოქროს მედალი დაისაკუთრა, ბევრს ნიშნავს. მართლაც, კარგა ხანია ქართველ მუშკეტერთაგან ასეთი დიდი წარმატება არავის რგებია. და აი, ამას წინათ ვორონეჟში გამართულ იუნიორთა საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებით თავი ისახელა თბილისელმა ა. კიკნაძემ. იგი ქვეყნის იუნიორთა ნაკრებში შეიყვანეს...

ერთი სიტყვით, ყინული დაიძრა.

რა თქმა უნდა, წარმატებები თავისით არ მოდის. ყოველივე ეს განაპირობა მწვრთნელთა და ახალგაზრდა სპორტსმენთა შეთანხმებულმა, თავდადებულმა შრომამ. მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ, რომ ჯერჯერობით დასამშვიდებელი არაფერი გვაქვს, — ჯერ კიდევ დიდი გარჯაა საჭირო ქართული ფარიკაობის კარგი ტრადიციების ასაღორძინებლად.

21 დეკემბერს თბილისში სტარტს აიღებს სსრ კავშირის თასის გათამაშება. ამ შეჯიბრებას წინ უძღოდა რესპუბლიკის თასის გათამაშება, რომელიც ახლახან დამთავრდა თბილისში.

ტრადიციულად, შეჯიბრება ხმლით მებრძოლებმა გახსნეს. თქმა არ უნდა, ქართველ ესპადრონისტებს კარგზე კარგი ტრადიციები აქვთ. მაგრამ მას შემდეგ, რაც საფარიკაო ბილიკი დატოვეს სახელოვანმა სპორტსმენებმა, ამ სახეობაში ერთგვარი უკან დახევა შეინიშნებოდა. ახლა კი სწორედ ესპადრონით დაიწყო ჩვენი ფარიკაობის აღმავლობა. ახალგაზრდებმა, რომლებმაც გამოცდილი სპორტსმენების ადგილი დაიკავეს ნაკრებში, აიმაღლეს ოსტატობა, მათი ხმალი ხულ უფრო ბასრი გახდა. ამიტომაც შეჯიბრება მეტად საინტერესო გამოდგა. აქ ფავორიტებად მიიჩნევდნენ თბილისელებს თ. ესართიას და ა. კიკნაძეს. ეტყობა, შეჯიბრებისთვის უკეთ მომზადებული ეს უკანასკნელი აღმოჩნდა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან იუნიორთა საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებამ კიკნაძეს თავისი ძალის რწმენა განუმტკიცა. იგი მეტად ლაღად, აღმაფრენით იბრძოდა, რასაც, რასაკვირველია, წარმატებაც მოჰყვა.

თ. ესართია ამჯერად III ადგილს დასჯერდა. ნიჭიერი სპორტსმენისგან ჩვენ უფრო მეტს მოველით და ამის სრული საფუძველიც გვაქვს. ესართიამ თავი ისახელა ბევრ შეჯიბრებაში, რის გამოც იგი უფროსთა საკავშირო ნაკრების კანდიდატად დაასახელეს. მას ყველა მონაცემი აქვს იმისთვის, რომ მოფარიკავეთა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დაიკავოს ადგილი. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ესართიას დაოსტატებას ხელმძღვანელობს ცნობილი მწვრთნელი ტ. მესხი (სხვათა შორის, ა. კიკნაძეც მესხის მოწაფეა).

ქებას იმსახურებს II ადგილზე გასული ქუთაისელი თ. ბობოხიძე, მაგრამ მის ტექნიკურ მომზადებაში ჯერჯერობით კიდევ შეინიშნება წუნი.

როცა ქალთა შეჯიბრების ფინალური ბრძოლები დამთავრდა, გამოირკვა, რომ სამ მონაწილეს — დ. ჩიქოვანს, მ. გეჯაძესა და დ. ანდღულაძეს მოგებათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ. მათ შორის დაინიშნა დამატებითი ბრძოლები. აქ ჩიქოვანმა იმარჯვა და თასიც დაისაკუთრა. II ადგილი გეჯაძეს ხვდა, III — ანდღულაძეს. ტურნირში მონაწილეობა ვერ მიიღო რესპუბლიკის მოფარიკავე ქალთა ლიდერმა დ. ბუხრაშვილმა (იგი „ბურევესტნიკის" ტურნირში გამოდიოდა კიევში). რასაკვირველია, ამან ერთგვარად შეანელა ბრძოლის სიმძაფრეც.

რაპირისტი ვაჟებიდან განსაკუთრებით გვინდა შევჩერდეთ თბილისელ გ. აბაშიძეზე (მწვრთნელი თ. ძაგანიეშვილი). მან ფარიკაობა ამ რამდენიმე წლის უკან დაიწყო და პირველივე შეჯიბრებაში მიიპყრო ყურადღება. მას, ასე ვთქვათ, ბედნიერად წაუვიდა სპორტული კარიერა. ჯერ ერთი, აბაშიძე ცაციაა, რაც ერთგვარ უპირატესობას ანიჭებს; მეორეც, გიას, როგორც იტყვიან, მკვიდრი, აკადემიური საფარიკაო სკოლა აქვს გავლილი, რაც დადებით გავლენას ახდენს მის ბრძოლის მანერასა და საღ ტაქტიკურ აზროვნებაზე. მართალია, აბაშიძემ თასის გათამაშებაში III ადგილი დაიკავა, მაგრამ იგი ჩინებული მონაცემების სპორტსმენია და მუყაითი შრომის შემდეგ სულ მალე დიდ საფარიკაო ბილიკზეც ვიხილავთ.

თასი ქუთაისელმა გ. მეშველიანმა დაისაკუთრა. II ადგილი წილად ხვდა გამოცდილ დ. გოგნიაშვილს (თბილისი).

სამწუხაროდ, ჩვენი დაშნით მოფარიკავეები ბოლო ხანს ძალიან ხუსტად გამოდიან საკავშირო სარბიელზე. ტურნირმა ამ სახეობაში ერთობ უფერულად ჩაიარა. ამას, რა თქმა უნდა, იმანაც შეუწყო ხელი, რომ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ გ. ზურაბიშვილი და ი. ვახროვი. თასი ქუთაისელ თ. მანაგაძეს ხვდა. II ადგილი ი. სიხარულიძემ დაიკავა, III — პ. რუბეჟანსკიმ (ორივე — თბილისი).

ა. ბურული.

• • •

სურათებზე: ზევით — შეტევაზეა გ. აბაშიძე (მარცხნივ); ქვევით — რაპირისტ ვაჟთა შორის გამარჯვებული გ. მეშველიანისა (მარცხნივ) და დ. გოგნიაშვილის ფინალური შეხვედრის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

შავი მეფის სითამამე

თბილისი. ჭადრაკის სასახლე. 17 დეკემბერი. გადადებული პარტიების დამთავრება.

მ. შული (ლვოვი) — ნ. მედიანიკოვა 0,5:0,5, ვ. სტერნინა — ტ. ზატულოვსკაია (სამივე — მოსკოვი) 0,5:0,5, ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი) — ა. გრინფელდი (კალინინგრადი) 1:0, ნ. ალიოხინა (ვორონეჟი) — ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) 0:1, ა. კისლოვა (ომსკი) — ლ. სემიონოვა (კიევი) 0:1, ო. პედკო (სოჭი) — კ. ზვორიკინა (მინსკი) 1:0, გრინფელდი — ე. სტრელნიკოვა (კუიბიშევი) 1:0, კოზლოვსკაია — კისლოვა 1:0, ლ. მულენკო (ზაპოროჟიე) — ი. მატვეევა (ალმა-ათა) 1:0, ვ. ბორისენკო (ტაშკენტი) — ტ. ფომინა (ტალინი) 0:1.

შული და მედიანიკოვა საშინაო ანალიზით დარწმუნდნენ, რომ მოგებაზე თამაში ორივესთვის სახიფათო იყო. ამიტომ ისინი ბრძოლის განუახლებლად დაზავდნენ. ალიოხინას ანალიზმა აჩვენა, რომ კოზლოვსკაიასთან ყაიმის შანსი არ ჰქონდა და დანებდა. ასევე მოიქცა ზვორიკინა პედკოსთან.

პაიკები რომ ამოძრავდნენ, ბრძოლამ ახალი ძალით იფეთქა გაფრინდაშვილ — გრინფელდის შეხვედრაში. ყოველი სვლა დიდ დაკვირვებას მოითხოვდა. მალე დაფაზე ახალი ლაზიერები გაჩნდა. მსოფლიო ჩემპიონმა ფიგურაც მოიგო, მაგრამ კალინინგრადელმა მოჭადრაკემ ლაზიერად მეორე პაიკი ამოძრავა. მხოლოდ ზუსტი სვლებით შეიძლებოდა ამ პაიკის უვნებელყოფა. რა თქმა უნდა, ნონა მოწოდების სიმაღლეზე იყო და 67-ე სვლაზე გრინფელდმა ფარ-ხმალი დაყარა.

კოზლოვსკაია კარგა ხანს ვერ მიუდგა კისლოვას მეფის ფრთას. ომსკელი ოსტატი მოხერხებულად უხერგავდა მას გზას, მაგრამ უხარისხობამ ბოლოს მაინც დააზარალა. კოზლოვსკაია ეტლისა და მხედრის კოორდინირებული მოქმედების წყალობით მეფით შეიჭრა მეტოქის განლაგებაში და პარტიის ბედიც გადაწყდა: 73-ე სვლაზე კისლოვა დანებდა.

სტერნინა — ზატულოვსკაიას პარტიაშიც დიდი ბრძოლა გაჩაღდა, მაგრამ მოგების შანსი არც ერთ მეტოქეს აღარ ჰქონდა.

საინტერესო გამოდგა I ტურიდან გამოტოვებული პარტიები.

სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი ბორისენკო ყველასთვის მრისხანე მეტოქეა, მაგრამ 20 წლის ტალინელი სტუდენტი ფომინა არ შეუშინდა მას და სლავური დაცვის უმწვავეს ვარიანტში აჰყვა. გაჩაღდა საინტერესო ტაქტიკური ბრძოლა.

თამაშს თვალს ადევნებდნენ ბორისენკოს მეუღლე, ცნობილი ოსტატი, მიწერ-მოწერით თამაშში საერთაშორისო დიდოსტატი გიორგი ბორისენკო და ვაჟი ვასილი. გიორგი ცნობილი თეორეტიკოსია და სწორედ მის ვარიანტებს იყენებს მეუღლე. ბორისენკომ ეტლი რომ შესწირა, გიორგის სახეზე ღიმილი შევამჩნიე. ძნელი არ იყო მიხვედრა, რომ ფომინას საოჯახო ვარიანტის წინააღმდეგ მოუწევდა ბრძოლა. ტალინელმა მოჭადრაკემ ეტლი აიყვანა და მეფე ცენტრში თამამად გამოიყვანა. დარბაზი ახმაურდა. ყველა ფიქრობდა, მეფე განწირულიაო, მაგრამ ბორისენკომ ვერ დააშამათა იგი. იქნებ არც იყო შამათი.

ზედმეტმა ეტლმა ფომინას გამარჯვება მოუტანა.

— ბორისენკოს თამაშის ძირითადი სიმძიმე სადებიუტო მომზადებაზე გადააქვს. ასე გრძელდება ოცი წელია. ჩემი აზრით, ეს მცდარი მეთოდია. ჩვენს დროში ახალგაზრდები შემოქმედებითად იბრძვიან, თამამად ირჩევენ გაუკვალავ გზას. ამიტომ ძველი გვარდიის წარმომადგენლებს უჭირთ მათთან თამაში, — გვითხრა სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, საერთაშორისო ოსტატმა ა. კონსტანტინოპოლსკიმ.

საუბარში მოსკოველი სტუმარი შეეხო ჩემპიონატში პრეტენდენტთა შეჯიბრების საგზურების მაძიებელთა მონაწილეობას. მან თქვა, რომ პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი გაიმართება გაისად 16 თებერვლიდან კისლოვოდსკში. მეტოქეები ოთხ-ოთხ პარტიას ითამაშებენ. ამიტომ, მწვრთნელის აზრით, კარგი იყო, შულთან ერთად ჩემპიონატში ნ. ალექსანდრიას, ი. ლევიტინასა და ნ. კონოპლიოვასაც ეთამაშათ. „საშინაო მზადებას ტურნირში პაექრობა სჯობდა. შული სწორად მოიქცა, თბილისში საასპარეზოდ რომ ჩამოვიდა", — თქვა კონსტანტინოპოლსკიმ.

მაყურებლები ააღელვა მულენკოს და მატვეევას პარტიამაც. ზაპოროჟიელმა ლაზიერი მოიგო, მაგრამ პარტიას ვეღარ იგებდა. მატვეევამ ციხე-კოშკი აუგო თავის მეფეს და ყველა იერიში მოიგერია. ბოლოს მულენკო იძულებული შეიქნა ლაზიერი დაეთმო ორ ფიგურაში და მოგების გზა ეტლების ენდშპილში მოეძებნა. მას ზედმეტი პაიკები ჰქონდა და გამარჯვებაც მოიპოვა.

დაუმთავრებელი დარჩა მხოლოდ ფომინა — შულის პარტია.

თ. გიორგაძე.

სურათზე: სსრ კავშირის ჩემპიონი მ. შული (დგას) დაინტერესდა ლ. ლიუბარსკაიას (მარჯვნივ) და ტ. მოროზოვას პარტიით.

მ. ზარგარიანის ფოტო.

არც მთავარი მსაჯი, არც აფიშები...

ცხინვალის სპორტულ ბაზებზე ერთ თვეს გაგრძელდა სამხრეთ ოსეთის სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა VIII საოლქო სპარტაკიადა. პროგრამაში შედიოდა 9 სახეობა. მონაწილეობდნენ „ბურევესტნიკის", „განთიადის", „სპარტაკის", „კოლმეურნისა" და განათლების განყოფილების (ბავშვთა სპორტული სკოლა) კოლექტივები.

მოჭადრაკეთა ტურნირში უძლიერესი იყო „სპარტაკი". II და III ადგილები შესაბამისად დაიკავეს „ბურევესტნიკისა" და განათლების განყოფილების გუნდებმა.

მძლეოსანთა შეჯიბრებაში გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: „ბურევესტნიკი", „სპარტაკი", „განთიადი".

ძალოსანთა ტურნირში თავი ისახელეს სპარტაკელებმა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან სპორტსკოლისა და „ბურევესტნიკის" გუნდები. გ. ფუხაევმა (სპორტსკოლა) ოლქის სამი რეკორდი დაამყარა: აკვრაში (82,5), ატაცსა (65) და ორჭიდში (147,5). სხვა შედეგები არადამაკმაყოფილებელია.

კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივებს შორის „ბურევესტნიკმა" ანგარიშით 64:61 გადამწყვეტი მატჩი მოუგო „განთიადს". III ადგილზეა „სპარტაკი".

„განთიადის" ქალებმა დაამარცხეს (42:39) „ბურევესტნიკი" და ჩემპიონები გახდნენ. III ადგილი დაიკავა სპორტსკოლამ.

მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობაში უძლიერესი იყო სპორტსკოლის გუნდი, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო. II და III ადგილებზე არიან „განთიადი" და „ბურევესტნიკი".

საინტერესოდ წარიმართა ფრენბურთელთა შეჯიბრება. ქალთა ასპარეზობის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სპორტსკოლისა და „სპარტაკის" გუნდები. გაიმარჯვეს მოსწავლეებმა — 2:0. III ადგილზეა „ბურევესტნიკი".

ვაჟთა შორის ჩემპიონია „ბურევესტნიკი", რომელმაც ფინალში დაძაბული მატჩი მოუგო „სპარტაკს" — 2:1. III ადგილზე გავიდა სპორტსკოლის კოლექტივი.

ქართულ ჭიდაობაში გაიმარჯვა „სპარტაკმა". II და III ადგილები ხვდათ „ბურევესტნიკსა" და „კოლმეურნეს". უმძიმეს წონაში ჩემპიონი გახდა გ. კაზიევი („კოლმეურნე"), მჩატეში — ჯ. ბერუაშვილი (სპორტსკოლა), ქვემსუბუქში — ნ. დოგუზოვი („სპარტაკი"), მსუბუქში — თ. ტურიევი („ბურევესტნიკი"), ქვესაშუალოში — პ. ბესთაევი, საშუალოში — ვ. კაზიევი (ორივე — „კოლმეურნე"), ქვემძიმეში — დ. გაზაშვილი („ბურევესტნიკი"), მძიმეში — ლ. გასიევი („სპარტაკი").

დოსააფის ტირში ჩატარდა შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში. I ადგილი დაიკავა სპორტსკოლის გუნდმა, II — „სპარტაკმა", III — „განთიადმა". ტექნიკური შედეგები აქაც დაბალია.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრებაში, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობა ზედიზედ მერვედ მოიპოვა „განთიადის" ძლიერმა კოლექტივმა. II და III ადგილებზე გავიდნენ „ბურევესტნიკისა" და „სპარტაკის" მოჭიდავეები.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ა. ჯიოევი („განთიადი"), ბ. რომელაშვილი („კოლმეურნე"), ვ. ქუმარიტოვი („სპარტაკი"), ნ. მარგიევი („განთიადი"), თ. ტურიევი, რ. ვალიევი (ორივე — „ბურევესტნიკი"), ა. კაბულოვი, ე. ჯიკაევი (ორივე — „განთიადი"), თ. სანაკოევი და ა. ურთქმელიძე (ორივე — „ბურევესტნიკი").

საერთო ჩათვლაში საოლქო სპარტაკიადის ჩემპიონობა ეს უკვე მერვედ მოიპოვა „ბურევესტნიკმა" (სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდი). II ადგილი ხვდა „სპარტაკს", III — „განთიადს".

კურიოზული ფაქტია, რომ სპარტაკიადას არ ჰყავდა მთავარი მსაჯი (?!), არსად იყო აფიშები, სპორტის ზოგიერთ სახეობაში დაბალ დონეზე იდგა მსაჯობა. სპარტაკიადის პროგრამაში მუდამ იყო ხელბურთი, მაგრამ ამჯერად იგი რატომღაც პროგრამიდან ამოიღეს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ღონისძიება არაორგანიზებულად ჩატარდა. ეს იყო მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით გამართული შეჯიბრება.

ვ. მელქოევი.

(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სამი სურათი გადაღებულია მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი შესარჩევი თამაშის დროს. კერძოდ, ესაა პოლონეთისა და ინგლისის ეროვნული გუნდების პირველი შეხვედრა, რომელიც მასპინძლებმა — პოლონელმა ფეხბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 2:0.

მარცხენა სურათზე თქვენ იან დომარსკისა (თეთრ მაისურში) და ინგლისელთა კაპიტან ბობი მურის ორთაბრძოლას ხედავთ. მარჯვენა ფოტოზე ისევ მურია აღბეჭდილი, ოღონდ იგი ბურთისთვის ებრძვის არა დომარსკის, არამედ პოლონელთა კაპიტანსა და საუკეთესო თავდამსხმელს ვლოძიმეჟ ლიუბანსკის (უკანა პლანზე ჩანს ინგლისელთა ცენტრალური მცველი ემლინ ჰიუზი).

ქვემო სურათზე ლიუბანსკი „თამაშგარე მდგომარეობაშია“. ალბათ გახსოვთ, რომ ამ მატჩში იგი მძიმედ დაშავდა და ტრავმა დღემდე ვერ მოიშუშა. ამ შეხვედრის შემდეგ ლიუბანსკის არც ერთ მატჩში არ მიუღია მონაწილეობა.

ე. ვარმინსკისა და ლ. ფიდუსევიჩის ფოტოები.

[illegible] გაზეთი [illegible] [illegible] იყო... 19^{45}

◆ ვრნიაჩკა-ბანია, 18 დეკემბერი. მოსკოველმა მოჭადრაკემ ა. კუშნირმა მოიგო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი: იუგოსლავიის ამ ქალაქში დამთავრებულ შეჯიბრებაში მან 10 ქულა მოაგროვა 12-დან. II-III ადგილები გაიყვეს ჟუჟა ვერეციმ (უნგრეთი) და მაია რანიკუმ (სსრ კავშირი).

რამდენიმე სტრიქონით

✦ თელავი

რაიონის საშუალო სკოლების ფეხბურთელთა გუნდები მონაწილეობდა სპორტის დამსახურებულ ოსტატ გ. ჩოხელის სახელობის თასის გათამაშებაში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თელავის რუსული საშუალო სკოლისა და სოფელ კურდღელაურის საშუალო სკოლის კოლექტივები. მატჩის დასასრულს რუსული სკოლის გუნდმა, მესამე, გადამწყვეტი გოლი გაიტანა და გაიმარჯვა — 3:2.

ს. ოხანაშვილი.

• KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •

კრაიშე მწყობრში დგება

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების გამოჩენილი ნახევარმცველი კრაიშე, რომელიც სერიოზულად იყო დაშავებული, მწყობრში დგება. ექიმებმა მას ფეხი თაბაშირიდან გაუთავისუფლეს.

„გაივლის სულ ერთი თვე და ვარჯიშსაც შევძლებ“, — თქვა კრაიშემ.

ეს ფეხბურთელი, როგორც გამთამაშებელი, შეუდარებლად ითვლება თავის ქვეყანაში.

„ლაციო“ დისკვალიფიცირებულია

უეფა-ს სადისციპლინო კომიტეტმა რომის „ლაციოს“ ერთი წლით აუკრძალა ევროპის ყოველგვარ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება.

საქმე ისაა, რომ უეფა-ს თასზე „იფსვიჩ თაუნთან“ შეხვედრაში, რომელიც „ლაციომ“ თავის მინდორზე მოიგო (4:2), რომაელი გულშემატკივრები მეტისმეტად უდისციპლინოდ იქცეოდნენ და ხელს უშლიდნენ მატჩის მსვლელობას.

საინტერესოა, რომ ლონდონის „არსენალთან“ მატჩის დროს გულშემატკივრების უდისციპლინობის გამო „ლაციო“ ამ სამი წლის უკანაც უკვე იყო დისკვალიფიცირებული უეფა-ს მიერ.

„კიდევ სამ წელს“

იტალიელ ფეხბურთელ რივერას არასოდეს უთამაშია ისე ძლიერად, როგორც ახლა. 30 წლის ნახევარმცველს ელოლიავებიან როგორც „მილანი“, ისე ნაკრებიც, იგი ორივე გუნდის კაპიტანია. მაგრამ შარშან ზაფხულში, როცა „სკუადრა აძურა“ ევროპის ჩემპიონატის ფინალშიც კი ვერ მოხვდა, გუნდის მწვრთნელს ვალკარეჯის პირველ ყოვლისა ნაკრებიდან ვეტერანთა გაშვებას სთხოვდნენ. ახსენებდნენ რივერასაც..

ახლა კი, როცა იტალიის ნაკრებმა იოლად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება, რივერას უკვე არავინ უკარგავს დამსახურებას. საქმე მარტო ფინალში გასვლა როდია: იტალიელებმა მოუგეს მსოფლიო ჩემპიონებს — ბრაზილიელებს, ორჯერ — ინგლისელებს, შეაჩერეს შვედების წინსვლა, რომლებსაც დავიწყებული ჰქონდათ, თუ რაა წაგება.

ამას წინათ რივერა მილანის უნივერსიტეტში მიიწვიეს. შეკითხვაზე — კიდევ რამდენ წელიწადს აპირებს თამაშს, „მილანის“ კაპიტანმა უპასუხა: „კიდევ სამ წელს“. შემდეგ იგი მწვრთნელობას დაიწყებს, თუმცა ამაზე ლაპარაკი ადრეა — წინაა მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც იტალიელებს, საერთო აზრით, კარგი პერსპექტივები აქვთ.

შალამანოვის საიუბილეო მატჩი

ამას წინათ სოფიის „სლავიის“ ვეტერანმა, ცენტრალურმა მცველმა ა. შალამანოვმა საიუბილეო, 250-ე მატჩი ითამაშა ბულგარეთის ჩემპიონატში. მას 41 მატჩი აქვს ჩატარებული ქვეყნის ნაკრებში, 1 — მეორე ნაკრებში, 3 — ახალგაზრდულში, 4 — ჭაბუკთა ნაკრებში.

ორჯერ (1963 და 1966 წლებში) შალამანოვი ბულგარეთის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, ამასთან, 1966 წელს იგი ქვეყნის № 1 სპორტსმენად იქნა მიჩნეული.

ტორესი ათამაშდა

ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ პორტუგალიის ნაკრების ტანმაღალი ცენტრალური თავდამსხმელი ტორესი, რომელიც 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატში შესანიშნავად იყო შეთამაშებული ეუსებიოსთან. ეს დუეტი დიდი წარმატებით გამოდიოდა „ბენფიკაშიც“.

მომდევნო წლებში ტორესმა თამაშს უკლო და „ბენფიკის“ დატოვებაც კი მოუხდა. მიმომხილველებმა მიიჩნიეს, რომ მას ყავლი გაუვიდა. მაგრამ ახლა, როცა ტორესი საბოლოოდ ჩამოწერეს, იგი მოულოდნელად მთელი ძალით ათამაშდა სეტუბალის „ვიტორიაში“. მისი ბრწყინვალე ფორმის წყალობით „ვიტორია“ პორტუგალიის ჩემპიონობის პრეტენდენტი გახდა.

ყველაზე პოპულარული — კრუიფი

ესპანურმა ჟურნალმა „პუებლომ“ მოაწყო კონკურსი, რომლის მონაწილეებს ანკეტები დაურიგდათ ერთადერთი კითხვით: „ვინაა ყველაზე უფრო პოპულარული ფეხბურთელი ესპანეთში?“

„ბარსელონაში“ მოთამაშე ჰოლანდიელი კრუიფი, — ასეთი იყო უმრავლესობის პასუხი.

კიდევ ერთი „უცნაური სიკვდილი“

უოლეს სმითი თავისი მშობლიური ქალაქის — ცინცინატის ერთ-ერთ ქუჩაზე მიდიოდა. გვიანი საღამო იყო. უეცრად სმითს უცნობი ქალი მიუახლოვდა, მოულოდნელად პისტოლეტი ამოიღო და რამდენიმე გასროლით ძირს დაანარცხა ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი პროფესიონალ მოკრივეთა შორის. ასე დაიკავა სმითმა თავისი ადგილი ძალადობით მოკლულ ჩემპიონთა სიაში. ეს სია საკმაოდ შთამბეჭდავია და თანდათან იზრდება. ყოფილ მოკრივეზე თავდასხმის მიზეზი დღემდე უცნობია. თუმცა, ესეც ამერიკის შეერთებული შტატების პროფესიული სპორტის კანონების მიხედვით ხდება.

აქ სმითის „წინამორბედად“ მიაჩნიათ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი პროფესიონალთა შორის სონი ლისტონი. იგი დაიღუპა ლას-ვეგასში, თავისი სახლის წინ, დღემდე იდუმალებით მოცულ ვითარებაში. გვამის გაკვეთის შემდეგ აღმოჩნდა კვალი ნარკოტიკებისა, რომელთაც წარსულში „უხეში დათვის“ სახელით ცნობილი მოკრივე სიამოვნებით იყენებდა. ამას გარდა, ნარკოტიკები ჩხრეკის დროს ლისტონის სახლშიც იპოვეს. ცნობილია ისიც, რომ მოკრივე ძალიან ახლოს იყო აშშ-ს განგსტერულ სამყაროსთან. სწორედ ამიტომ ვერავინ ამბობს გადაჭრით, მოკრივე მოკვდა, თუ მოკლეს.

პატარა კერძო თვითმფრინავით კატასტროფაში მოჰყვა და დაიღუპა როკი მარჩიანო, ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში, რომელმაც რინგი ისე დატოვა, ერთხელაც არ წაუგია. მეორე დღეს იგი 46 წლის გახდებოდა.

ტრაგიკულად დაიღუპა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი რენდი ტერპინიც. მან მძიმედ დაჭრა თავისი ორი ქალიშვილი და მერე თავი მოიკლა. გამოკვლევით დადგინდა, რომ ინგლისელს უამრავი ვალი ჰქონდა, გადახდა კი არ შეეძლო.

გამომძიებლებმა „მისტიკური“ უწოდეს ქვემძიმე წონაში ყოფილი ჩემპიონის, ინგლისელი ფრედი მილსის სიკვდილს. მისი მანქანა ლონდონის ერთ-ერთი ღამის კლუბის მახლობლად იპოვეს. ტყვიით განგმირული მილსი მანქანაში ეგდო.

სამოციან წლებში ედი მაჩენი მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონის ერთ-ერთ პრეტენდენტად ითვლებოდა. მაგრამ იგი ფსიქიკურად დაავადებული იყო, ერთ მშვენიერ დღეს ფანჯრიდან გადახტა და დაიღუპა. ეს სიკვდილიც უცნაურთა რიცხვს მიეკუთვნება. ზორა ფოლი, რომელმაც ერთხელ სცადა ჩემპიონის ტიტული წაერთმია მუჰამედ ალისთვის, აუზში დაიღუპა — ფსკერს დაარტყა თავი.

ასეთი „უცნაური“ სიკვდილის ამბები ოდნავაც ვერ აოცებს ყველაფერს მიჩვეულ ამერიკელ სპორტის მოყვარულებს. ვინ ვინ და, მათ იციან, რა მტკიცედაა დაკავშირებული ბევრი მოკრივე განგსტერთა სამყაროსთან, „იატაკქვეშა“ ტოტალიზატორთან, მაფიასთან. ხშირად მოკრივეები ყოველივე ამისთვის სიკვდილით აგებენ პასუხს.

ვ. ვლადიმიროვი.

(საკდესის კორ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი და აპარატის მუშაკები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა „განთიადის“ ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე

ავთანდილ გიორგის ძე ხალაღოვი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი
მისამართი
ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი. ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება—99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება—93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია— 93-97-58, გამომშვები—93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 08619